

სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის 2009 წლის ანგარიში

სარჩევი

1. ცენტრის ახალი მისია	2
2. ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები	2
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის დახვეწა	3
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა.....	4
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი	4
6. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა	4
7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშები.....	5
8. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან შესაბამისობა	5
9. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო და დარგობრივი სტანდარტები	5
10. მობილობა.....	6
11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის პილოტირების პროექტი	7
12. მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.....	7
13. მიღებული განათლების აღიარება.....	8
14. საინფორმაციო სისტემის განვითარება და სახელმწიფო სასწავლო გრანტის ადმინისტრირება.....	9
15. ვებგვერდი და საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა.....	9
16. კორესპონდენცია	10
17. ფინანსური ანგარიში.....	10

1. ცენტრის ახალი მისია

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ზრუნავს განათლების ხარისხზე, მის მუდმივ გაუმჯობესებასა და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე.

შეიცვალა ცენტრის საქმიანობის ძირითადი პრინციპი: ცენტრი მაკონტროლებლიდან იქცა ხელშემწყობ დაწესებულებად, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს საზოგადოებასთან, თითოეულ ინდივიდთან თანამშრომლობით, ხოლო გადაწყვეტილებებს იღებს კონსენსუსით.

ცენტრმა ცალკეული საკითხის განხილვის ტრადიციულ ფორმებთან ერთად, როგორცაა, მაგალითად: შეხვედრები, სემინარები და კონფერენციები, საზოგადოებას შესთავაზა გადაწყვეტილებების დემოკრატიულად მიღების ახალი ალტერნატივა - თემატური ზოგადსაგანმანათლებლო და აკადემიური სამიტები.

აკრედიტაცია ხორციელდება დაინტერესებული მხარის მონაწილეობით შემუშავებული სტანდარტებით, რომელთაც ემყარება როგორც თვითშეფასება, ისე ცენტრის მიერ მისი ჭეშმარიტების დადასტურება.

2. ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები

მისიის ახლებურმა გააზრებამ გამოიწვია ცენტრის ინსტიტუციური მოწყობის ცვლილება. ცენტრის დირექტორის 2009 წლის 13 აგვისტოს №35 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა რეორგანიზაცია. ამჟამად ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია: სტრატეგიული განვითარებისა და სამართლებრივი საკითხების დეპარტამენტი, აკრედიტაციის პროცესის მართვის დეპარტამენტი, ინსტიტუციური მოწყობისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დეპარტამენტი, საინფორმაციო და მობილობის დეპარტამენტი, რეესტრის წარმოების დეპარტამენტი.

ცენტრთან ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო და მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო. თითოეული საბჭო დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და გადაწყვეტილებას იღებს აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაინტერესებული მხარის პოზიციის გათვალისწინების საფუძველზე. საბჭოს სხდომების საჯაროობა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 26 აგვისტოს №269 ბრძანებით დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელშიც აღარ შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. აღნიშნული მნიშვნელოვანი ცვლილებაა „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის“ (ENQA) წევრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის დახვეწა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის N1030 ბრძანებით დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულება, სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესი და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი.

აკრედიტაციის ახალი დებულების დამტკიცებას წინ უძღვოდა დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტის ფართო შინაარსობრივი განხილვა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სტანდარტებთან დაკავშირებული მოთხოვნების რაოდენობა ოთხჯერ შემცირდა. საბოლოოდ, დოკუმენტი დამტკიცდა სრული კონსენსუსით.

აკრედიტაციის დებულება ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტებს, მათი შეფასების მექანიზმებსა და აკრედიტაციის ჩატარების წესს. ინსტიტუციური აკრედიტაციის მიზანია უმაღლესი განათლების ხარისხის ასამაღლებლად დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მისიასთან მისი შესაბამისობა დგინდება ისეთი სტანდარტებით, როგორებიცაა: მატერიალური და ფინანსური რესურსები, საგანმანათლებლო პროგრამები და ადამიანური რესურსი.

ცენტრის დირექტორის 2009 წლის 29 ოქტომბრის №73 ბრძანებით დამტკიცდა აკრედიტაციის ექსპერტის თემატური დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის ფორმები, ხოლო 2009 წლის 26 ნოემბრის №75 ბრძანებით და 17 დეკემბრის №79 ბრძანებით დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების კითხვარისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თემატური და შემაჯამებელი დასკვნების ფორმები, აკრედიტაციის ახალი დებულების შესაბამისად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის პროექტი განხილულ იქნა 2009 წლის 21 ნოემბერს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართულ პირველ აკადემიური სამიტზე. შეხვედრის მონაწილეთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის საბოლოო ვერსიის შემუშავებისას.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა

2009 წელს ცენტრმა ორჯერ გამოაცხადა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 85-მა კანდიდატმა, 26 მათგანს, კონკურსით გათვალისწინებული ეტაპების გადალახვის საფუძველზე, მიენიჭა აკრედიტაციის ექსპერტის სტატუსი.

ექსპერტებს 2009 წლის 10-11 ოქტომბერს ჩაუტარდათ ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა ჯგუფური მუშაობის ძირითადი პრინციპების, ინტერვიუების, თვითშეფასების კითხვარისა და აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შესწავლას, ასევე აკრედიტაციასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის გაცნობას.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი

2009 წელს ინსტიტუციურ აკრედიტაციაზე განაცხადი გააკეთა 22-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. მამიებლად იქნა ცნობილი და აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი. ოთხმა მამიებელმა დაწესებულებამ ცენტრს მიმართა თხოვნით, მათ მიმართ აკრედიტაციის პროცესი განხორციელებულიყო ახალი სტანდარტების შესაბამისად. აკრედიტაცია მიენიჭა 10 დაწესებულებას.

2009 წელს აკრედიტაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში იხილებოდა 7 საქმე. პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე 2 დავიდან ერთი განუხილველად დარჩა სარჩელის გამოხმობის გამო, ხოლო მეორეზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ცენტრის სასარგებლოდ. სააპელაციო ინსტანციაში მიმდინარე 4 დავიდან ცენტრის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ერთ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ცენტრის ერთი საკასაციო საჩივარი.

2009 წელს საბჭომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განმეორებით განიხილა ერთი დაწესებულების აკრედიტაციის საკითხი და მიანიჭა მას ინსტიტუციური აკრედიტაცია.

6. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა

სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით ცენტრს მიმართა 4-მა ახალდაფუძნებულმა ლიცენზირებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელთაგან სამს განესაზღვრა სტუდენტთა კონტინგენტი. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი გააკეთა 17-მა აკრედიტებულმა და 7-მა ახალდაფუძნებულმა ლიცენზირებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. აქედან ორმა აკრედიტებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შემდგომ უარი განაცხადა პროცესის განხორციელებაზე, ხოლო ერთის საქმისწარმოება გადაიდო. 14

აკრედიტებულ და 7 ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გაეზარდა სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა.

7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშები

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2009 წლის 2 ოქტომბრის №46 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის ფორმა და წარმოდგენის ვადა. თვითშეფასების ანგარიშის ფორმა ითვალისწინებდა დაწესებულებების შესაბამისობის დადგენას ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმებთან.

თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინა 63-მა აკრედიტებულმა და ახალდაფუძნებულმა ლიცენზირებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე 61 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები ხარვეზის გამოსასწორებლად. ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ცენტრის რეკომენდაციები.

8. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან შესაბამისობა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 აპრილის №84 დადგენილებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრს მიმართა 39-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან სპეციალობების შესაბამისობის დამდგენ ექსპერტთა საბჭოს მიერ 33 დაწესებულებას დაუდგინდა შესაბამისობა 696 სპეციალობაზე. ერთმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უარი განაცხადა პროგრამების გადამოწმებაზე და გაითხოვა განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარდგენილი განცხადება, ხოლო 5 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰქონდა სტუდენტთა მისაღებად საკმარისი ადგილები.

9. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო და დარგობრივი სტანდარტები

2009 წელს ცენტრის აქტიური მონაწილეობით დასრულდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროექტის შემუშავება. პროექტი გამოქვეყნდა ცენტრის ვებგვერდზე დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის მიზნით. დოკუმენტით განისაზღვრება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები, რომელთა აღწერა ხორციელდება 5 კრიტერიუმის საფუძველზე: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, არგუმენტირებული დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი.

ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული მე-2 და მე-3 აკადემიური სამიტები მიემდგვნა კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს პროექტის განხილვას.

მეორე აკადემიური სამიტი გაიმართა 2009 წლის 5 დეკემბერს შპს - თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. სამიტზე კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს პროექტის პრეზენტაციის შემდეგ გამოითქვა არაერთი საინტერესო შენიშვნა და წინადადება. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მონაწილეებს მიეცემოდათ შენიშვნების, მოსაზრებებისა და წინადადებების ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გამოგზავნის შესაძლებლობა, ხოლო შემდგომ მათ განიხილავდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი.

2009 წლის 11 დეკემბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგა მესამე აკადემიური სამიტი, რომელზეც განხილულ იქნა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში სახელოვნებო განათლების ასახვის, სახელოვნებო უმაღლესი განათლების სტანდარტის შემუშავების დაგეგმვის, საკანონმდებლო ცვლილებების მიზანშეწონილობისა და სახელოვნებო უმაღლესი განათლების სხვა თავისებურებები. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში მოხდება სახელოვნებო განათლების სპეციფიკის გათვალისწინება, ასევე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სახელოვნებო უმაღლესი განათლების სტანდარტს.

ცენტრის ვებგვერდზე ასევე განთავსდა დარგობრივი დოკუმენტის პროექტები შემდეგ სფეროებში: ბიზნესი და მენეჯმენტი, ბიოლოგია, განათლების მეცნიერებები, გეოგრაფია, ევროპის მცოდნეობა, ისტორია, მედიცინა, საბანკო საქმე, საექთნო საქმე, სამართალმცოდნეობა, სამოქალაქო მშენებლობა, ფიზიკა, ფსიქოლოგია, ქიმია. ცენტრის ორგანიზებით 2009 წლის განმავლობაში გაიმართა დარგობრივი დოკუმენტების რამდენიმე პრეზენტაცია-განხილვა.

2009 წლის 16 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, ცენტრის ორგანიზებითა და ევროკავშირის „ტვინინგის“ პროექტის ხელშეწყობით, გაიმართა სამედიცინო საქმის დარგობრივი დოკუმენტის განხილვა. „საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ცენტრის მონაწილეობით 2009 წლის 30 ნოემბერს შედგა სამედიცინო განათლების დარგობრივი სტანდარტის, ხოლო 2009 წლის 11 დეკემბერს სამართლის დარგობრივი სტანდარტის პრეზენტაცია. აქტიური განხილვების შედეგად მონაწილეთა მიერ შემოთავაზებულ იქნა ცვლილებები, რომლებიც აისახა დარგობრივი დოკუმენტების პროექტებში.

10. მობილობა

2009 წლის ბოლოს შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი, რომელიც არეგულირებს სტუდენტთა მობილობის პროცედურას. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის შეიქმნა

ცენტრის ელექტრონული პორტალი, რომელზეც აისახება დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მობილობის მსურველთა მონაცემები და ქვეყნდება დაწესებულებაში მობილობის წესით ჩარიცხვის კანდიდატთა სია.

2009 წლის 25 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ მეოთხე აკადემიურ სამიტზე განხილულ იქნა მობილობის დებულების პროექტი. შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადები აისახა დოკუმენტის პროექტში.

ცენტრის მიერ სტუდენტთა მობილობის მონიტორინგისას შემოწმდა 3800-ზე მეტი მობილობის მსურველი სტუდენტის პირადი საქმე და სხვა მონაცემი.

11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის პილოტირების პროექტი

2009 წლის მაისში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების პროექტის საფუძველზე მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის პილოტირების პროექტი, რომელიც განხორციელდა UNDP-ის პროექტის მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა სკოლების გარე შეფასებისა და თვითშეფასების დამხმარე სახელმძღვანელოები. 2009 წლის მაის-ივნისში ჩატარდა ტრენინგი თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში. საპილოტე პროექტში მონაწილე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობამ წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში.

პროექტისთვის ასევე შეირჩა ექსპერტობის 64 კანდიდატი, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგი უცხოელი ექსპერტის მიერ. „კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის“ მხარდაჭერით განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტები საპილოტე სკოლებში. ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნები შესწავლილ იქნა ცენტრის მიერ.

12. მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის N800 ბრძანების საფუძველზე მიღებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული წესით, 2009 წლის თებერვალ-ივნისში განხორციელდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. განაცხადი გააკეთა 32-მა იურიდიულმა პირმა 255 საგანმანათლებლო პროგრამაზე, აქედან აკრედიტაცია მიენიჭა 172 საგანმანათლებლო პროგრამას. ამ პროცესის ძირითადი ხარვეზი პროგრამების შეფასების შინაარსობრივი სტანდარტის უგულებელყოფით იყო განპირობებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის N1102 ბრძანებით დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ახალი დებულება. მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია მიზნად ისახავს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასა და ამ გზით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. დებულებით შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისას უარი ითქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის ელემენტებზე და იგი პროგრამის შინაარსსა და ხარისხზეა ორიენტირებული.

13. მიღებული განათლების აღიარება

2009 წლის 10 აგვისტოს ცვლილებები შევიდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, ასევე შეიცვალა საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის №406 ბრძანებულება, რის საფუძველზეც გაუქმდა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ავთენტიკურობის დადგენა, ხოლო საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციასა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოდ, ცენტრის ნაცვლად, განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

შემუშავდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის №1067 ბრძანებით დამტკიცდა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესი“, რომლის საფუძველზეც ცენტრი უფლებამოსილია, ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ცენტრმა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 5 საქმეზე.

ცენტრმა 2009 წელს განიხილა 1827 განცხადება საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტისა და მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით. არსებული პროცედურის შესაბამისად, უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გადამოწმდა განმცხადებელთა მიერ მითითებული გარემოებები, დადგინდა საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსი და სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგები.

საქართველოს მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნების მოქალაქეთა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პროგრამის ფარგლებში 2009 წლის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ცენტრმა მოახდინა უცხოეთში გაცემული 160 საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარება.

2009 წელს ცენტრის ორმა თანამშრომელმა გაიარა ENIC/NARIC-ის ნიდერლანდების ოფისის მიერ ორგანიზებული დისტანციური სწავლების კურსი „უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების, დიპლომებისა და კვალიფიკაციების შეფასება“, რაც დასრულდა სერტიფიცირებით კვიპროსზე გამართულ კონფერენციაზე.

14. საინფორმაციო სისტემის განვითარება და სახელმწიფო სასწავლო გრანტის ადმინისტრირება

ცენტრი აწარმოებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრს. რეესტრის ადმინისტრირება მოიცავს სისტემის მონიტორინგსა და ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე ხორციელდება ახალი მოდულების პროექტირება. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების რეესტრში რეგისტრირებულია 211840 პირის, მათ შორის: 95495 სტუდენტისა და 116345 კურსდამთავრებულის მონაცემი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ქ. თბილისის მერიისა და სს საქართველოს ბანკის სტუდენტების სამგზავრო ბარათების ერთობლივი პროგრამის განხორციელება.

2009 წლის ოქტომბერში სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის აქტივაციის შედეგად 2009-2010 სასწავლო წლისათვის ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული 23285 სტუდენტის მონაცემი ინტეგრირებულ იქნა სტუდენტების რეესტრში. ამასთან, განხორციელდა 8504 სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მონაცემთა ავტომატური ინტეგრაცია გრანტების მოდულში, რითაც არსებითად გამოირიცხა შეცდომების ალბათობა. გრანტების მოდულში დარეგისტრირდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე 30000-ამდე სტუდენტი, ასევე სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებული 2035 სტუდენტი, მათ შორის: 168 უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე 2008 წლის აგვისტოს რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული, ერთჯერადად დაფინანსებული 1159 სტუდენტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 26 ოქტომბრის N913 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემისა და ერთი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორეში სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანის წესი. წესის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის გარდა, გრანტი შეიძლება მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით მცხოვრებმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ და მოქალაქეობის არმქონე პირმა.

2009 წლის ოქტომბერში შემუშავდა პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის პროგრამული უზრუნველყოფა და რეესტრში დარეგისტრირდა 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 5344 პროფესორ-მასწავლებელი. 2009 წლიდან USAID-ის დაფინანსებით World Learning-ი ახორციელებს ცენტრის ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების პროექტს, რომლის ფარგლებშიც ცენტრის რეესტრები ერთიან სისტემურ ქსელში ინტეგრირდება.

15. ვებგვერდი და საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა

ცენტრის ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე რეგულარულად ცხადდება დაგეგმილი ღონისძიებები. მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ვებგვერდის ახალ დიზაინზე, ფუნქციურ მრავალფეროვნებასა და ინგლისურენოვანი ინფორმაციის ნაწილის სრულყოფაზე. 2009 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა.

16. კორესპონდენცია

2009 წლის განმავლობაში ცენტრში სულ შემოვიდა 7428 წერილი, მათ შორის: 5727 - იურიდიული პირებისაგან, 1701 - მოქალაქეებისაგან. გასული წერილების რაოდენობა იყო 6533.

17. ფინანსური ანგარიში

2009 წლისათვის სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 580 000 ლარის ოდენობით. გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა 578 816 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება (საშემოსავლოს ჩათვლით) 435 902 ლარი;
- საქონელი და მომსახურება 118 601 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა 9 500 ლარი;
- სხვა ხარჯები 162 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა 14 651 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №223 და 2009 წლის 20 ნოემბრის №1030 ბრძანებების შესაბამისად, 2009 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აკრედიტაციის მიზნებისათვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 161 660 ლარი. აკრედიტაციის საფასურის სახით გადახდილი თანხების ნაშთი 2009 წლისათვის შეადგენდა 47 574 ლარს.

მოწვეული სპეციალისტებისა და აკრედიტაციის ექსპერტების შრომის ანაზღაურებაზე, ასევე მათ მივლინებებსა და სხვა ხარჯებზე გაწეულმა თანხამ შეადგინა 82 812 ლარი, მათ შორის:

- საქონელი და მომსახურება 51 518 ლარი;
- სხვა ხარჯები (ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები და გადასახდელები, ასევე სხვა მოსაკრებლები) 26 669 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა 4 625 ლარი.

ცენტრი დიდ მადლობას მოგახსენებთ ანგარიშის გაცნობისა და, ზოგადად, თანამშრომლობისათვის!